

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება №244**  
**2013 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი**

**პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების**  
**განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების**  
**განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ**  
**საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის**  
**მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე**

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად

**მუხლი 1**

პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობები განისაზღვროს ამ დადგენილების დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა დამტკიცდეს ამ დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 2<sup>1</sup>. (24.09.2015 N500)**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა დამტკიცდეს ამ დადგენილების დანართი №3-ის შესაბამისად.

**მუხლი 3**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველ სამ საფეხურზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №96 დადგენილება.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ბიძინა ივანიშვილი*

დანართი №1

პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობები

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პროფესიული განათლების დაფინანსების (შემდგომში – დაფინანსების) წესსა და პირობებს.

### მუხლი 2. დაფინანსების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. ამ წესის შესაბამისად, დაფინანსებაზე უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. დაფინანსებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (გარდა სამინისტროსი), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ მათ მიერ დადგენილი წესისა და ოდენობის შესაბამისად.

### მუხლი 3. დაფინანსების გაცემის მიზანი

სამინისტროს მიერ დაფინანსების გაცემის მიზანია:

- ა) პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციალის შენარჩუნება და საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებათა გაფართოება;
- გ) პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება;
- დ) პროფესიული სტუდენტების ისეთი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება, რომელიც მოითხოვს პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამოყენებას;
- ე) ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების (მაჩვენებლის) ზრდა.

### მუხლი 4. დაფინანსების სახეები

დაფინანსების სახეებია:

- ა) ვაუჩერული დაფინანსება;
- ა<sup>1</sup>) მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება; (24.09.2015 N500)
- ბ) პროგრამული დაფინანსება.
- გ) მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება. (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

## თავი II. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება (სათაური 24.09.2015 N500)

მუხლი 5. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი დაწესებულებები (24.09.2015 N500)

ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი არიან შემდეგი დაწესებულებები:

ა) სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული:

ა.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ა.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

### **მუხლი 6. ვაუჩერული დაფინანსების გაცემის მიზანი**

ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად.

### **მუხლი 6<sup>1</sup>. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების გაცემის მიზანი (24.09.2015 N500)**

ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა სასწავლო მასალის შეძენისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად.

### **მუხლი 7. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების გაცემის საფუძველი (სათაური 24.09.2015 N500)**

1. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება გაიცემა: (24.09.2015 N500)

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე იმ პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, რომელიც გადალახავს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს;

ბ) ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე იმ პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, რომელიც გადალახავს ამ

მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, რომელიც პროფესიული ტესტირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურზე.

2. ამოღებულია (18.12.2014 N683)

3. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების გაცემის მიზნით: (24.09.2015 N500)

ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩატარებამდე 7 დღით ადრე ადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

4. ამოღებულია (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

**მუხლი 8. ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)**

1. ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I-V საფეხურებზე, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული:

ა) 5 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,6 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

ბ) 6 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,5 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

გ) 7 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,4 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

დ) 8 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,3 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

ე) 9 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი № 2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,2 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

ვ) 10 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,1 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

ზ) 10 პროფესიულ სტუდენტზე მეტი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ემთხვევა ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალურ ოდენობას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I-V საფეხურებზე ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის I-V საფეხურებიდან პროფესიული სტუდენტის მობილობის განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შედეგად, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული:

ა) 4 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,7 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

ბ) 3 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,8 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

გ) 2 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 1,9 კოეფიციენტზე გადამრავლებით;

დ) 1 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში გამოიანგარიშება ამ დადგენილების დანართი №2-ით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საფეხურისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის 2,0 კოეფიციენტზე გადამრავლებით.

## **მუხლი 8<sup>1</sup>. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა (24.09.2015 N500)**

1. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანებით დადგენილი წესით, მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი ამ











3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა) 4-ზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა;

ბ) 3 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში, გაიცემა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის 1,8 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული თანხის ოდენობის (მაგრამ არაუმეტეს ამ წესის 8<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა) 3-ზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა;

გ) 2 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში, გაიცემა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის 1,9 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული თანხის ოდენობის (მაგრამ არაუმეტეს ამ წესის 8<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა) 2-ზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა;

დ) 1 პროფესიული სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში, გაიცემა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის 2,0 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული თანხის ოდენობის (მაგრამ არაუმეტეს ამ წესის 8<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა) თანხა.

**მუხლი 10. ამოღებულია** (18.12.2014 N683)

**მუხლი 11. ამოღებულია** (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

**მუხლი 12. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების გადარიცხვის წესი** (24.09.2015 N500)

1. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში თანხის პირველად და კვარტალურად გადარიცხვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

ა) სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სამინისტროში წარსადგენი ინფორმაციის ფორმა და წარდგენის ვადები;

ბ) თარიღი, რომლის მდგომარეობითაც დაითვლება პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებში.

2. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში თანხის გადარიცხვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში თანხის გადარიცხვას სამინისტრო ახორციელებს კვარტალურად, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში პირველად და კვარტალურად გადასარიცხი თანხის გამოანგარიშების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არის ამ დაწესებულებისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს გადაურიცხავი ვაუჩერული/ მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების შესაბამისი თანხის ან/და მისგან გამომდინარე სხვა გადასახდელის (პროცენტი, ჯარიმა და ა.შ) გადახდა. (24.09.2015 N500)

### **მუხლი 13. ვაუჩერული დაფინანსების გადატანა**

1. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი დაწესებულებიდან ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში (ამ წესის მიზნებისათვის შემდგომში – მობილობა), მიმღებ დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა, მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიერ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე.

2. მობილობის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, მიმღები ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება ვაუჩერულ დაფინანსებას მიიღებს პროფესიული სტუდენტის მობილობის განხორციელების მომდევნო კვარტალიდან.

3. პროფესიული სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, მიმღებ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას, ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, ამ პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსება მიეცემა მის მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, ამ დადგენილების დანართი №2-ით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურისათვის განკუთვნილი სწავლის საფასურის მაქსიმალური ღირებულებიდან დარჩენილი გაუხარჯავი ოდენობით.

#### **მუხლი 14. ვაუჩერული დაფინანსების შენარჩუნება/შეწყვეტა**

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მოხლოებით სარგებლობის, ასევე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ იმ დაწესებულებას, რომლიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ვაუჩერული დაფინანსება ამ პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით უნარჩუნდება მომდევნო კვარტალის დაწყებამდე.

2. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, ვაუჩერული დაფინანსება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას შეუჩერდება მომდევნო კვარტალის დაწყებიდან ამ პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე, არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, პროფესიული სტუდენტის მიერ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გარეშე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს ამ წესის მე-2 მუხლის თანახმად შეჩერებული ვაუჩერული დაფინანსების შეწყვეტას.

4. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დაკარგვის/ვადის გასვლის შემთხვევაში დაწესებულებას შეუწყდება ვაუჩერული დაფინანსების მიცემა.

### **თავი III. პროგრამული დაფინანსება**

#### **მუხლი 15. პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი დაწესებულებები**

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან სამინისტროს მიერ დაფუძნებული:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები.

#### **მუხლი 16. პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზნები და საფუძველი**

1. პროგრამული დაფინანსება გაიცემა კვარტალურად, ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებზე, შემდეგი მიზნებისათვის:

- ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისათვის;
- ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებისათვის;
- გ) სხვა მიმდინარე ხარჯებისათვის.

2. პროგრამული დაფინანსების გაცემის საფუძველს წარმოადგენს ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ კვარტალის დასრულებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე, სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვა (თანდართული ხარჯთაღრიცხვით).

### **მუხლი 17. პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი**

1. პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზნით, ამ წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას (თანდართულ ხარჯთაღრიცხვას), სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან ერთად, განიხილავს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

2. ეკონომიკური დეპარტამენტი, ამ წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის (თანდართული ხარჯთაღრიცხვის) შესწავლის შემდგომ, უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარუდგინოს რეკომენდაცია ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის პროგრამული დაფინანსების:

ა) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობით გამოყოფის თაობაზე;

ბ) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობით გამოყოფის თაობაზე.

3. მინისტრი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის კვარტალში ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის პროგრამული დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

### **თავი IV. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)**

### **მუხლი 18. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი დაწესებულებები (13.12.2013 N 334)**

მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები.

### **მუხლი 19. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების გაცემის საფუძველი (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)**

1. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება გაიცემა, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის/პროგრამების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზნობრივ პროგრამას/პროგრამებს შესაძლებელია ჰქონდეს მიზნობრივი ქვეპროგრამა/ქვეპროგრამები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამით, ასევე მიზნობრივი პროგრამის შესაბამისი მიზნობრივი ქვეპროგრამით განისაზღვრება:

ა) მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზანი;

ბ) მიზნობრივი პროგრამის მოსალოდნელი შედეგები;

- გ) მიზნობრივი პროგრამის განხორციელების ვადა;
- დ) მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური განწერა.

**თავი V. გარდამავალი დებულებანი** (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29  
ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

**მუხლი 20. გარდამავალი დებულებანი** (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29  
ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

1. პროფესიული სტუდენტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 34-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლების არაუგვიანეს იმავე დებულების 24-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში გამოყენების შემთხვევაში, დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსება ამ პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, მიეცემა შიდა მობილობის განხორციელების მომდევნო კვარტალიდან.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 34-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ჩარიცხული, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით:

ა) სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის მონაცემების შესაბამისად, ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით უზრუნველყოფს 2013 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, 2013 წლის 15 დეკემბრამდე ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისთვის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში დამატებით გადასარიცხი თანხის გაანგარიშებისთვის აუცილებელი ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდებას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტრო უზრუნველყოფს 2013 წლის მე-4 კვარტალში ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისათვის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში დამატებით გადასარიცხი თანხის დაანგარიშებასა და გადარიცხვას.

3. სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით აუცილებელი ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს შეიძლება მიეცეს დამატებითი დაფინანსების სახით, მის მიერ კვარტალის დასრულებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე, სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვის (თანდართული ხარჯთაღრიცხვით) საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას (თანდართულ ხარჯთაღრიცხვას), სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან ერთად, განიხილავს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

5. სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის (თანდართული ხარჯთაღრიცხვის) შესწავლის შემდგომ, უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარუდგინოს მიმართვა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების:

ა) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობით გამოყოფის თაობაზე;

ბ) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობით გამოყოფის თაობაზე;

გ) გამოყოფაზე უარის თქმის თაობაზე.

6. მინისტრი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის კვარტალში ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

7. სამინისტრო უფლებამოსილია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში გადაურიცხოს 2014 წლის პირველი კვარტალის ფარგლებში გადასარიცხი თანხა, რისთვისაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებში პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებითა და ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმით უზ-რუნველყოფს, 2013 წლის 24 დეკემბრამდე ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისთვის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში გადასარიცხი თანხის გაანგარიშებისთვის აუცილებელი ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდებას.

8. 2013 წლის 20 დეკემბრიდან 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით პროფესიული სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიმღებ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსება არ მიეცემა.

დანართი N 2

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა**

**მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა პროფესიული (29.11.2013 N 303 გავრცელდეს 2013 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)**

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ სპეციალიზაციაზე I-III საფეხურებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროფესიული სპეციალიზაცია	საფეხური	სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა
1	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	I	400
2	მეხილე	II	
3	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	II	
4	მეზოსტნე	II	
5	თევზგადამამუშავებელი	III	
6	თევზის მრეწავი	III	
7	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	III	
8	მეზოსტნე	III	
9	მეხილე	III	
10	მძერწავი (არქიტექტურული დეტალების)	III	
11	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	III	
12	საკერავი მანქანების ოპერატორი	III	
13	ბუღალტერი	III	
14	სანერგე მეურნეობის სპეციალისტი	II	650
15	საკერავი მანქანების მექანიკოსი	III	
16	ამწის მემანქანე	III	
17	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	II	
18	სანერგე მეურნეობის სპეციალისტი	III	
19	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	III	
20	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი	III	
21	ტოპოგრაფი	III	
22	თექის ხელოსანი	III	
23	ლონისძიებათა მომწყობი	III	
24	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	
25	მევენახე	III	
26	მასაჟისტი	III	
27	კომპიუტერული ინჟინერი	III	
28	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი	III	
29	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	



30	გამყიდველ-კონსულტანტი	III	
31	რძის გადამმუშავებელი	III	
32	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	III	
33	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	III	
34	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე,მებეტონე)	III	
35	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	III	
35 <sup>1</sup>	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი (12.09.2014 №552)	III	
36	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	III	800
37	კალატოზი	III	
38	კომპიუტერული გრაფიკოსი	III	
39	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III	
40	მებათქაშე	III	
41	თაბაშირმუყაოს სპეციალისტი	III	
42	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო - სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა)	III	
43	მღებავი	III	
44	საბაჟო წარმომადგენელი	III	
45	მოლარე (ბანკის და ა.შ)	III	
46	ზეინკალ - სანტექნიკოსი	III	
47	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი	II	
48	ტრაქტორისტ - მემანქანე	III	
49	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	III	
50	მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი)	III	
51	მეთუნუქე-მღებავი	III	
52	სტილისტი (ქალი, მამაკაცი)	III	
53	ელექტრიკოსი	III	
54	იუველირი	III	
55	მიმღები - რეცეფციონისტი	III	
56	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრაულიკური ექსკავატორი) ოპერატორი	III	

57	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი)	III	
58	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	III	
59	ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მემონტაჟე	III	950
60	ელექტროამძრავისა და ელექტრომომარაგებელი დანადგარების ოსტატი	III	
61	მემცენარე	III	
62	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	III	
63	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	III	
64	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს – შემკეთებელი	III	
65	ძრავის შემკეთებელი	III	
66	მეფილე – მომპირკეთებელი	III	
67	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	III	
68	ტუროპერატორი (აგრო-, ეკო-, და ა.შ. ტუროპერატორი)	III	
69	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	III	
70	ავტომობილის ზეინკალი	III	
71	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	
72	კბილის ტექნიკოსი	III	
73	დეკორატიულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	III	
74	მელვინე	III	
75	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	III	
751	მხატვარ-შემსრულებელი (12.09.2014 №552)	III	
76	სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტი	III	1150
77	გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.)	III	
78	გვირაბგამყვანი	III	
79	გარემოს დაცვის ტექნიკოსი	III	
80	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	III	
81	ყველის მწარმოებელი	III	
82	ელმავლის მემანქანე	III	
83	ექთნის თანაშემწე	III	
84	სამთო ელექტრომექანიკოსი	III	
85	სამთო ტექნიკოსი	III	

86	დურგალი	III	
87	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	
88	ზარმენი	III	
89	კომპიუტერული გრაფიკოს-ანიმატორი	III	
90	ვებსპეციალისტი	III	
91	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	III	
92	შემდუღებელი	III	
93	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი	III	
94	ხილ - ბოსტნეულის გადამამუშავებელი	III	
95	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი	III	
96	სომელიე	III	
97	მეფუტკრე	III	
98	მემინანქრე	III	
99	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	III	1300
100	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	III	
101	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	III	1400
102	სარკინიგზო გადამზიდავი	III	
103	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი	III	1500
104	მზარეული	II	1700
105	მზარეული	III	1900
106	რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	
107	მელიანდაგე	III	
108	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი	III	2250
109	სავაგონო მეურნეობის მექანიკოსი	III	
110	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	
111	კონდიტერი	III	
112	მევენახე-მეღვინე (12.09.2014 №552)	III	2250

**მუხლი 2.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

შესაბამისი პროფესიული სპეციალიზაციის როგორც IV, ასევე V საფეხურებისათვის განისაზღვროს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით.

დანართი №3 (30.10.2015 N557)

<p><b>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა</b></p>		
<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის საფასურის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:</p>		
<p><b>მოდულის დასახელება</b></p>	<p><b>მოდულის ტიპი</b></p>	<p><b>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა</b></p>
<p>ჰიგიენა და სანიტარიული ნორმები</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>61</p>
<p>ჰიგიენა და სანიტარია, სამუშაო ადგილის ორგანიზება</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>51</p>
<p>ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>63</p>
<p>ხის ნაკეთობათა აწყობა-მოპირკეთება</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>126</p>
<p>ხელით საჭრელი იარაღები</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>32</p>
<p>ხეზე კვეთის მარტივი სახეობების შესრულება (კონტურული და გეომეტრიული კვეთა)</p>	<p>სავალდებულო პროფესიული მოდულები</p>	<p>111</p>
<p>ხარისხის და სტანდარტის საფუძვლები</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>40</p>

	პროფესიული მოდულები	
ხალიჩის ქსოვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	425
წყალმომარაგების ელემენტები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	335
წყალარინების ძირითადი ელემენტები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	106
წერტილოვანი მასაჟი (აკუპრესურა)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	207
წერილობით ტექსტთან მუშაობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	53
ძირითადი კვანძების დამუშავების ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	543
ცხელი სასმელების მომზადების ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	171
ცვლის მოვალეობები და აუდიტი მიღება-განთავსების განყოფილებაში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	55
ჩექმისა და წადის მოდელირება/კონსტრუირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	186
შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	157
შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა ელექტროტექნიკური სამუშაოებისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	49
შრომის უსაფრთხოების დაცვა თექის წარმოებისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	40
შრომის უსაფრთხოება ხის მხატვრული დამუშავებისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	39
შრომის უსაფრთხოება სამკერვალო წარმოებაში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	46
შრომის უსაფრთხოება თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	37
შრომის უსაფრთხოება ელექტროტექნიკოსისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	55

შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	30
შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა ფილამწობისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	19
შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	40
შიდაწყალარინება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	405
შიდა წყალსადენი სიტემების მონტაჟი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	266
შიდა და გარე კომუნიკაციები, უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, NATPAT, MPLS Applications)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	67
შეღებვის სახეობები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	63
შეფასების შემოსავლების მეთოდი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
შეფასების საბაზრო მეთოდი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
შეფასების მათემატიკა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	77
შეფასების დანახარჯების მეთოდი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
შეფასების დავალების განსაზღვრა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	101
შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	81
შესაფასებელი ქონების საბოლოო ღირებულების დადგენა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	75
შესაფასებელი ქონების ინფორმაციის ანალიზი (საბაზრო)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	77
შესაფასებელი ქონების გარე ექსპერტიზა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	58
შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება (საბაზრო მეთოდი)	სავალდებულო პროფესიული	68

	მოდულები	
შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	70
შეკიდული ჭერების მონტაჟი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	501
შეკვეთის დამუშავება (გაფორმება)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	63
შეკეთებული მოწყობილობის გაცემის უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	22
ღონისძიების შეფასება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	87
ღონისძიების ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	70
ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	61
ღონისძიების სტრატეგიული დაგეგმვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	81
ღონისძიების კოორდინირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	82
ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	81
ღონისძიებების ორგანიზება და საპროტოკოლო მომსახურება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	57
ღონისძიებების ორგანიზება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	64
ღვინის ტურის წარმართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	88
ქსოვილის მხატვრული ღებვა - შიბორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	214
ქსოვილის დაჩითვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	353
ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	134
ქსელის საფუძვლები, კომპონენტები და აპარატურა,	სავალდებულო	80

უსადენო ქსელის საფუძვლები	პროფესიული მოდულები	
ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	226
ქვილთი - ნაკეთობის მხატვრული დამუშავება (დაგვირისტება)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	816
ქართული ორნამენტების შესრულება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	100
ქართული კულტურა და ხელოვნება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	53
ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	194
ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	604
ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	156
ქალის სათავიანი ნაწარმის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება (ქვედა-კაბა, შარვალი)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	333
ქალის ყაკეტის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	181
ქალის მსუბუქი კაბის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	240
ქალის კოფტის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	193
ქალის თმის შეჭრა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	69
ფუტკრის მოვლა-პატრონობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	495
ფუნქციონალური პროგრამირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	86
ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	82
ფოტოსაქმე	სავალდებულო პროფესიული მოდულები	52



ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისთვის ანგარიშგების მომზადება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	49
ფინანსური ანგარიშგების შედგენა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	78
ფინანსების და მატერიალური რესურსების მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	86
ფილის დამუშავება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	221
ფილების/პანელების მონტაჟი სამონტაჟო წებოთი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	352
ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	52
ფიზიკური პირის კონტროლი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	70
ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მასალების შერჩევა და გამოჭრა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	215
ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიციის შექმნა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	307
ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	423
ფერთა თეორია და საღებავების კლასიფიკაცია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	47
ფარმაკოლოგიის საფუძვლები საექთნო საქმეში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	108
ფარდაგის ქსოვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	298
ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	146
უსაფრთხოების წესების დაცვა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოებისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	47
უსაფრთხოების მართვა	სავალდებულო პროფესიული	32

	მოდულები	
უნივერსალური და სპეცდანიშნულების საკერავი მანქანები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	545
უნადლო ანგარიშსწორების ოპერაციები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	62
ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	444
ტყავის აქსესუარების მოდელირება/კონსტრუირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	209
ტუროპერეტიინგი 2	სავალდებულო პროფესიული მოდულები	75
ტუროპერეტიინგი 1	სავალდებულო პროფესიული მოდულები	77
ტურისტული ჯგუფის მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	47
ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი 2	სავალდებულო პროფესიული მოდულები	68
ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი 1	სავალდებულო პროფესიული მოდულები	69
ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	47
ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	56
ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	61
ტურიზმის ინდუსტრია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	63
ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	442
ტვირთისა და გადაზიდვის სახეები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	59
ტექნიკური მახასიათებლების გაცნობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	39
ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები	სავალდებულო	210

	პროფესიული მოდულები	
ტანსაცმლის სხვადასხვა მოდელის ესკიზის შექმნა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	137
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	40
ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	193
ტანსაცმლის დეტალების შეერთების მეთოდები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	231
ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	284
სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	255
სწრაფი ფულადი გზავნილები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	46
სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	171
სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	64
სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	72
სცენის კომპოზიციის შექმნა (Layout)	სავალდებულო პროფესიული მოდულები	58
სტუმრის მიღება-განთავსება სასტუმროში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
სტუმართან და მედიასთან ურთიერთობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	46
სტანდარტული მატერიალები და ტექსტურირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	106
სპეციალური ხატვა თმის სტილისტიკისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	48
სპეციალური კონტროლი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	67

სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	163
სესხების მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	27
სერვისი და სერვირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	120
სერვისის პლიუსი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	25
სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	22
სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	49
საწესდებო დოკუმენტების წარმოება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	41
საწარმოო პრაქტიკა - სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა ბანკის მოლარე-ოპერატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	82
საწარმოო პრაქტიკა - ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
საწარმოო პრაქტიკა - შემფასებელი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - ღონისძიებების მენეჯერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - ფილაამწყოები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	136
საწარმოო პრაქტიკა - ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	186
საწარმოო პრაქტიკა - ფარმაცევტის თანაშემწე	სავალდებულო პროფესიული მოდულები	93
საწარმოო პრაქტიკა - ტუროპერატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	103
საწარმოო პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული	186

	მოდულები	
საწარმოო პრაქტიკა - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	103
საწარმოო პრაქტიკა - სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	163
საწარმოო პრაქტიკა - სამგანზომილებიანი გრაფიკა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
საწარმოო პრაქტიკა - საკერავი მანქანის ოპერატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	163
საწარმოო პრაქტიკა - საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	117
საწარმოო პრაქტიკა - საბაჟო საქმის სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - რესტორნის სერვის-მენეჯერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	186
საწარმოო პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	93
საწარმოო პრაქტიკა - მოლარე	სავალდებულო პროფესიული მოდულები	82
საწარმოო პრაქტიკა - მიღება-განთავსების სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - მეფუტკრე	სავალდებულო პროფესიული მოდულები	163
საწარმოო პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
საწარმოო პრაქტიკა - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	117
საწარმოო პრაქტიკა - ინფორმაციული ტექნოლოგიების	სავალდებულო	117

მხარდაჭერის სპეციალისტი	პროფესიული მოდულები	
საწარმოო პრაქტიკა - თმის სტილისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - თექის ოსტატი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	117
საწარმოო პრაქტიკა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - ზეინკალ-სანტექნიკოსი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - ვებპროგრამისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
საწარმოო პრაქტიკა - ვებინტერფეისის დიზაინერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	117
საწარმოო პრაქტიკა - ვებინტერფეისის დეველოპერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	117
საწარმოო პრაქტიკა - ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	136
საწარმოო პრაქტიკა - ელექტრიკოსი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	186
საწარმოო პრაქტიკა - ბუღალტერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	93
საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	124
საწარმოო პრაქტიკა - ბართენდერი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	93
საწარმოო პრაქტიკა - არქიტექტორ-ტექნიკოსი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	133
საწარმოო პრაქტიკა - მასაჟისტ-რეაბილიტატორი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	186

საწარმოო პრაქტიკა - კონსულტანტ-გამყიდველი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საწარმოო პრაქტიკა - ბულალტერ-ტექნიკოსი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	109
საშემფასებლო დასკვნის მომზადება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	101
საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	60
საქმიანი წინადადებების მომზადება და შეთავაზება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	52
საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	78
საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	228
საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	255
საფუტკრე მეურნეობაში ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	343
საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	33
სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	93
სატრანსპორტო დოკუმენტაცია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	62
სატვირთო გადაზიდვების მონიტორინგი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	83
სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	71
სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	75
სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული	65

	მოდულები	
სასტუმროს უსაფრთხოება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	70
სასტუმროს პერსონალის მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	46
სასტუმროს მომსახურებები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	50
სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	83
სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	101
სასტუმროს დაჯავშნის მომსახურება	სავალდებულო პროფესიული მოდულები	59
სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	77
სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	78
სასმელების მიქსოლოგია	სავალდებულო პროფესიული მოდულები	603
სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი	სავალდებულო პროფესიული მოდულები	61
საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	23
სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	153
სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და ესკიზის შედგენა თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონატაჟისას	სავალდებულო პროფესიული მოდულები	31
სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და გაანგარიშება ფილამწყობისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	84
სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა	სავალდებულო პროფესიული მოდულები	50
სამუშაოს ორგანიზება მიღება-განთავსებაში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	76
სამუშაოს ორგანიზება - სამკერვალო ნაწარმის ხარისხის	სავალდებულო	45



მართვის სპეციალისტისთვის	პროფესიული მოდულები	
სამუშაოს ორგანიზება - თექის ოსტატისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	210
სამუშაო გარემოს ორგანიზება სავაჭრო ობიექტებში	სავალდებულო პროფესიული მოდულები	69
სამუშაო ადგილის ორგანიზება ელექტროტექნიკოსისთვის	სავალდებულო პროფესიული მოდულები	1367
სამკურნალო მასაჟი შინაგანი ორგანოების, გინეკოლოგიური, უროლოგიური და დერმატოლოგიური დაავადებების დროს	სავალდებულო პროფესიული მოდულები	156
სამკურნალო მასაჟი ტანდევობის დარღვევების დროს	სავალდებულო პროფესიული მოდულები	111
სამკურნალო მასაჟი პოსტტრავმული, პოსტოპერაციული მდგომარეობების და ორთოპედიული დაავადებების დროს	სავალდებულო პროფესიული მოდულები	212
